ხაშურის მოამბე

№26 (308) 16 აგვისტო, ორშაბათი, 2021 წელი

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალები გვირგვინებით შეამკეს

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის 13 წლისთავთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა პირებმა და წარმომადგენლებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების მემორიალური დაფები და საფლავები გვირგვინებით შეამკეს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა: ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი -კაპრალი დავით ბლიაძე ქვიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი "მხედრული მამაცობისთვის" გადაეცა, მისი მშობლიური სოფლის - ოსიაურის სასაფლაოზეა დაკრძალული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი კაპრალი გიორგი წიქარიშვილი კი თბილისის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, აგვისტოს ომის გმირების თავდადებას და მამაცობას, რაც მომავალი თაობებისთვის სამაგალითოა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალური დროშები დაშვებული იყო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის ვაქცინაცია დაიწყო

დღეს სოფელ ცხრამუხაში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მედიკოსების მობილური ბრიგადა ჩავიდა. მოქალაქეთა იმუნიზაციის პროცესი ცხრამუხის ამბულატორიის მედიკოსების ექიმ მანანა სვანიძისა და ექთან მაკა გოგნიაშვილის, ასევე ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოთარ ბირკაძის აქტიური ჩართულობით განხორციელდა.

სოფელში საყოველთაო ვაქცინაციის პროცესში ჩართულობის სურვილი არაერთმა ადგილობრივმა გამოთქვა.

ვაქცინაციის პროცესს დაესწრნენ შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხაშურის ცენტრის ხელმძღვანელი დავით ჩიქოვანი. მათი განცხადებით, ვაქცინაცია პანდემიასთან ბრძოლის ერთადერთი გზაა, ამიტომ მოქალაქეებს აცრისკენ მოუწოდეს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მობილური ჯგუფები ცხრამუხის გარდა აცრებს სხვა სოფლებშიც ჩაატარებენ.

- კოვიდ - 19 -

ახალი რეგულაციები ძალაში შევიდა

ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ტენდენციის გათვალისწინებით, უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ, რომლის სხდომა პრემიერ-მინისტრ ირაკლი დარიბაშვილის ხელმძღვანელობით, დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, ცალკეული შემზღუდავი ღონისძიებების დაწესების გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც ცნობილია, პირბადეების ტარება სავალდებულოა დახურულ სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ღია სივრცეში, ხალხმრავალი შეკრების ადგილებზე, გაჩერებებზე, ბაზრობებზე და ა.შ. საბჭოს გადაწყვეტილებით, პირბადის ტარება სავალდებულო ხდება ღია სივრცეში ყველგან, სადაც 5 და მეტი ადამიანი იკრიბება.

ამასთან, კვლავ აკრძალულია ღამის კლუბების ფუნქციონირება როგორც ღია, ისე დახურულ სივრცეებში და აღნიშნული რეგულაციების აღსრულება მკაცრად გაკონტროლდება; შეზღუდული რჩება კვების ობიექტების მუშაობა 00:00-05:00 საათამდე პერიოდში, რის აღსრულებასაც შესაბამისი უწყებები ასევე მკაცრად გააკონტროლებენ.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, მთავრობის დადგენილებით აკრძალულია ისეთი სოციალური ღონისძიებების გამართვა, როგორიცაა ქორწილი, ქელეხი, თუ სხვადასხვა სახის იუბილე. მსგავსი ღონისძიებების მასპინძლობისთვის კვების ობიექტებს თუ სხვადასხვა სარიტუალო დარბაზებს პირველ ჯერზე დაეკისრებათ ფინანსური სანქცია - 10 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მსგავსი ქმედების განმეორებით განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ობიექტები დაილუქება;

4 სექტემბრამდე, ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა შეიზღუდება, შეზღუდვა არ ეხება საქალაქთაშორისო ტრანსპორტს. სრულად იზღუდება ფესტივალები, გასართობი ღონისძიებები, კონცერტები და სპორტული შეჯიბრები.

ამასთან, საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქვეყანაში შემოსვლისას, პირებზე, რომლებსაც გადატანილი აქვთ COVID-19 და არიან ერთჯერადად ვაქცინირებულები, საზღვრის კვეთისას გავრცელდება იგივე რეგულაცია, რაც 2 დოზით აცრილ პირებზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #36

2021 წლის 03 აგვისტო, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 თებერვლის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზებას, რისთვისაც საჭიროა „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხა“-ში ცვლილების შეტანა. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიქტის ნუსხა“-ს ემატება:

1. ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება (ყოფილი სამხედრო ტერიტორია), საკადასტრო კოდი 69.08.60.729 დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1600.00 მ2.

2. ხაშურში, სოფელ ოსიაურში მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდი 69.03.55.294 დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 169.00 მ2.

3. ხაშურში, სოფელ გომში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი 69.02.65.343 დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 111.00 მ2.

4. ხაშურში, სოფელ ნაცარგორაში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი 69.05.57.266 დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 175.00 მ2.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 6 თებერვლის №12-ე განკარგულებით დამტკიცებულ დანართში და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი №1 თან ერთვის 1 ფურცლად);

2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge ;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

5. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.016) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 2038.00 მ2.

6. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.021) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1740.00 მ2.

7. ხაშური,(ყოფილი აზნეფტის ტერიტორია)(საკადასტრო კოდი 69.03.51.002) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 220575.00 მ2

8. ხაშური, თევდორე მღვდლის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.57.023) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო ფართობი 7872.00 მ2.

9. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.014) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 13781.00 მ2.

10. ხაშური, შუშის ქარხნის დასახლება (საკადასტრო კოდი 69.08.51.315), დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 3719 კვ.მ.

11. ხაშური,სოფელი ცხრამუხა,უძრავი ქონება,საკადასტრო კოდი 69.11.56.291 დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 140 კვ.მ.

12. ხაშური, სოფელი გომი, (საკადასტრო კოდი 69.02.68.014) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 5281 კვ.მ.

13. ხაშური, ჭანტურიას ქუჩა (საკადასტრო კოდი 69.08.63.026), დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 28 კვ.მ.

14. დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში ყოფილი სანატორიუმ „ნაკადულის“ (საკადასტრო კოდი 69.04.56.069) №3 და №6 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორედი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალები;

15. შუშის ქარხნის დასახლებაში საბავშვო ბაღის (საკადასტრო კოდი 69.08.51.315) ავარიული №01/2 და №02/2 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორედი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალები.

16. ხაშური, ქუჩა იმერეთი (ყოფილი სამხედრო ტერიტორია), (საკადასტრო კოდი 69.08.60.729) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1600.00 მ2.

17. ხაშური,სოფელი ოსიაური,უძრავი ქონება,საკადასტრო კოდი 69.03.55.294 დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 169.00 მ2.

18. ხაშური, სოფელი გომი, უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი 69.02.65.343 დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 111.00 მ2.

19. ხაშური, სოფელი ნაცარგორა, უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი 69.05.57.266 დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 175.00 მ2.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2021 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის ანგარიში

კულტურის და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

ახალი წლის ღონისძიებების ფარგლებში, საახალწლო ტკბილეული და საჩუქრები გადაეცათ, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებს, შშმ პირთა ბავშვთა მოვლის ცენტრებს და საზღვრის პირას მცხოვრებ დაწყებითი კლასის და ალტერნატიული საბავშო ბაღის აღსაზრდელებს.

ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულად მოეწყო ალილოს ღონისძიება-მსვლელობა.

14 იანვარს აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე, ღონისძიების ფარგლებში გამოიფინა დროშები დიმიტრი ყიფიანის მოედანზე და მუნიციპალიტეტის შენობაზე.

25 თებერვალს, აღინიშნა უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკის დაბადების დღის საიუბილეო თარიღი. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ უკრაინის ელჩი, საელჩოსა და დიასპორის წარმომადგენლები, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ხელმძღვანელი და სხვა ოფიციალური პირები. ღონისძიება გაიმართა სურამის ლესია უკრაინკის სახელობის №3 საჯარო სკოლაში.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებ, ყველაზე ასაკიან და მარტოხელა დედებს, ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცეს დედებს გადაეცათ თაიგულები და ფასიანი საჩუქრები.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღის მილოცვასთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ”ხაშურსერვისში“ მომუშავე ქალბატონებს გადაეცათ ყვავილების თაიგული და ფასიანი საჩუქრები.

ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის დღის აღსანიშნავად, 9 აპრილს, მერიის თანამშრომლებმა გვირგვინით შეამკეს ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი.

21 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, დღის მოვლის ცენტრის და „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა საზეიმო ტორტი.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, ვეტერანებს მერიისაგან გადაეცათ სასურსათე პაკეტები. კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, 9 მაისის მემორიალთან საზეიმო ღონისძიება არ გამართულა.

მასწავლებელთა აღიარების კონკურსში გამარჯვებული პედაგოგი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისგან დასაჩუქრდა ფასიანი საჩუქრით.

საანგარიშო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო დაძმობილებულ ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში გამართულ მეგობრობის დღესასწაულში, რაც ხელს უწყობს ურთიერთობების გაღრმავებას ქალაქებს შორის და უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად მიმდინარეობდა საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების მონიტორინგი.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში ირიცხება 105703 ერთეული ექსპონატი(ძირითადი და დამხმარე ფონდი), მათ შორის: არქეოლოგიური მასალა-80026 ერთეული, წერილობითი ძეგლები-4672 ერთეული, დოკუმენტები-4514 ერთეული, ფოტომასალა-9890 ერთეული, ეთნოგრაფიული მასალა-769 ერთეული, საეკლესიო ნივთები-25 ერთეული და სხვა; საანგარიშო პერიოდი განსაკუთრებით აღსანიშნავია იმით, რომ გაგრძელდა ლესია უკრაინკას მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დამთვალიერებელს ელოდება ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი. საანგარიშო პერიოდში აქ განხორციელდა ექსპოზიციის შევსება- გადახალისება ახალი მასალით.

შესრულდა სხვადასხვა სამუშაო სამუზეუმო საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულებით. კერძოდ: სამუზეუმო ექსპონატების ელექტრონული მონაცემთა ბაზა უკვე შექმნილია 95621 ექსპონატზე;

- მოხდა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საცავიდან ახალ ფონდსაცავში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის გადატანა, ექსპონატებს ჩაუტარდა ფიზიკური დასუფთავება და დეზინფექცია, - ჩატარდა მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დიფერენცირება მოპოვების ადგილის მიხედვით(50 ლოკაცია); არქეოლოგიური მასალიდან გამოირჩა სოფ. წაღვლის სასკოლო მუზეუმის, ადგილ „ბესას ტყის“, ადგილ „რეზოს მიწების“, ადგილ „მიქელაანთ ვერხვების“, სოფ. ნაცარგორის მრავალფენიანი სამაროვნისა და ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა.

- მოხდა ხის, ტყავის, სპილენძის და რკინის მასალისგან დამზადებული ეთნოგრაფიული ექსპონატების გადატანა ახალ ფონდსაცავში, დასუფთავდა და დეზინფიცირდა, განლაგდა შესაბამის თაროებზე;

-მოხდა სოფ. ნაცარგორის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი გორის არქეოლოგიური მასალის გადატანა სოფ. გომიდან ახალ საცავებში, ექსპონატებს ჩაუტარდა ფიზიკური დასუფთავება და განლაგდა შესაბამის თაროებზე;

- სამუზეუმო მასალით დახმარება გავუწიეთ მოქალაქეებს: რეზო ბარბაქაძეს, ლია ჯიქურაშვილს, მაია გუდაძეს და სხვებს;

- სამუზეუმო აღრიცხვის წიგნებში აღირიცხა, დაინომრა, შესაბამის ყუთებში განლაგდა სურამის ციხის მიდამოებში 2020 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა(85 ერთეული);

- მუზეუმის თანამშრომლები ჩართული იყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხცისში შემთხვევით აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამარხის მიდამოებში ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებში.

- მუზეუმმა მონაწილეობა მიღო USAID-ის და საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში, რომელიც ჩატარდა სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის საკითხებთან დაკავშირებით;

მუზეუმის ბიბლიოთეკა შეივსო ახალი წიგნადი ფონდით.

ბორჯომის ქუჩაზე მწყობრში ჩადგა ტურიზმის სამსახურისთვის განკუთვნილი ოფისი. დაიბეჭდა სერიის „ისტორიული საგვარეულოები ხაშურში”, მე-3 წიგნი, „აბაზაძეები”. ამ სერიით მომზადებულია გამოსაცემად ხიდირბეგიშვილები. მუშავდება კომპიუტერული ვერსია მურვანიშვილებისა და აბაშიძეების საგვარეულოების შესახებ. გარდა ზემოთ

აღნიშნულისა, გამოვიდა მ. მთვარელიძის ბიოგრაფიული რომანი დიმიტრი ყიფიანზე სახელწოდებით „კაცი ხასიათისა". - მზადდება გამოფენა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საბრძოლო იარაღების შესახებ, ამ ექსპონატთა დიდ ნაწილს რესტავრაცია ჩაუტარდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

მომზადებულია ნაშრომები: „თეატრალური ხაშური". „სურამის წარსულიდან, განათლება და კულტურა)" ასევე, მომზადებულია მასალები გამოფენისათვის „მეთუნეობა ხაშურის რაიონში" თავის თანდართული პროგრამით.

ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბავშვო ბაღების გაერთიანება.

როგორც ცნობილია, ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი (ქალაქად 8, დაბა სურამში 1 და სოფლად 9), 62 ჯგუფით მათ მომსახურეობას უწევს 341 თანამშრომელი, საბავშვო ბაღებში, 2021 წლის 1 იანვრისათვის, რეგისტრირებული იყო 2000 აღსაზრდელი.

მიმდინარე წლისათვის საფინანსო რესურსი სუბსიდიების სახით გამოყოფილი გვაქვს 2662590 ლარი,საიდანაც 6 თვეში მოხდა 1200285 ლარის ათვისება.6 თვის განმავლობაში საბავშვო ბაღების საჭიროებიდან გამომდინარე მომწოდებლებთან გაფორმებული იქნა 58 ხელშეკრულება,მათ შორის 15 ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. ხარჯების დაფინანსების კუთხით 1200285 ლარიდან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 736914 ლარი, 103630 ლარი დაიხარჯა კომუნალურ მომსახურეობაზე, კვების ხარჯებს მოხმარდა 210090 ლარი, სხვა საოფისე,სან-ჰიგიენურ და სადეზინფექციო ხსნარების შეძენას მოხმარდა 34723 ლარი,სამზარეულოებში ბუნებრივი აირის ღუმელების ამოცვლისათვის ელექტროღუმელებით დახარჯული იქნა 99000 ლარი,სხვა დანარჩენ ხარჯებს მოხმარდა 15928 ლარი .

საანგარიშო პერიოდში, საქართველოში კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანება მოქმედებდა დაწესებული შეზღუდვების და რეგულაციების შესაბამისად . საბავშვო ბაღებში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა წყვეტილობით.აღსაზრდელებს იანვარ-თებერვლის თვეში დაურიგდათ 91971 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტები. იანვარ-ივნისის ჩათვლით შენობა-ნაგებობებში პერიოდულად ტარდებოდა სადეზინფექციო სამუშაოები სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მუშაობა მოგვიწია მთელი რიგი რეგულაციების შესაბამისად, რომელიც დაწესებული იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობსა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის 01-227/ო ბრძანების პირველი მუხლის „ჰ6" პუნქტით. ყველა ბაღმა გაიარა შემოწმება, ბაღების მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფილი იყო პირბადეებით, ხელის სადეზინფექციო ხსნარებით, დეზობარიერებით, უკონტაქტო თერმომეტრებით , ხელის დისპენსერებით, აგრეთვე სხვადასხვა ნივთებით (როგორიცაა ბახილები, ერთჯერადი ხალათები , ქუდები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა

ხაშურის მუნიციპალიტეტის კომპლექსურმა სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის თორმეტი სახეობა, საწვრთნელო ვარჯიშებში ჩართულია 1359 აღსაზრდელი, სკოლის ყველა მწვრთნელ-მასწავლებელი ლიცენზირებულია. სასწავლო ვარჯიშები მიმდინარეობს დამტკიცებული განრიგის მიხედვით კვირაში ერთხელ სკოლის სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო შემოწმება უტარდებათ სპორტსმენებს. 2021 წელს, სპორტული ფედერაციებიდან მოსული დებულებების თანახმად, სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღეს სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა. ასევე, სასპორტო სკოლის სპორტსმენები არიან საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების შემადგენლობაში სპორტის სხადასხვა სახეობებში რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთასორისო ტურნირებში.

2021 წელს გვყავს ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ჭიდაობა სამბოში - ასევე გვყავს ევროპის ორი ჩემპიონი რაგბში.

2021 წლის შედეგები:

სამბო

1. ზაურ დვალაშვილი -ევროპის ჩემპიონატის მე-2 პრიზიორი;
2. ზაურ დვალიშვილი - საქართველოს ჩემპიონი;
3. მიშიკო ნოზაძე - საქართველოს ჩემპიონი.

რაგბი

1. გურამ გოგიჩაიშვილი- ევროპის ჩემპიონი;
2. გია ხარაიშვილი-ევროპის ჩემპიონი.

ძიუდო

1. გიორგი ნასყიდაშვილი - საქართველოს ჩემპიონი;
2. ლუკა მაისურაძე - გრანსლემის მე-3 პრიზიორი.

ძალოსნობა

1. გიორგი ხარაზიშვილი - საქართველოს ჩემპიონი;
2. თორნიკე ტაბატაძე - საქართველოს ჩემპიონი;

კომპლექსურმა სასპორტო სკოლამ უმასპინძლა:

საქართველოს ჩემპიონატს ჭაბუკებს შორის, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში.

რამაზ ხარშილაძის მე-3 რესპუბლიკურ ტურნირს ჭიდაობა ძიუდოში.

სოფელ ვაყაში, ქართული ჭიდაობის ფედერაციისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ორგანიზებით გაიმართა ქართული ჭიდაობა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა – მილოშ გლიგორიევიჩმა და ანატოლი ბოისამ შიდა ქართლის რეგიონის ახალგაზრდა კალათბურთელებს საკალათბურთო ვარჯიშები ჩაუტარეს.

საქართველოს კალათბურთის ორმა ასაკობრივმა ნაკრებმა სამწვრთნელო შეკრებები გაიარეს კომპლექსურ სასპორტო სკოლაში.

ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში, ხაშურის მკვიდრმა შშმ პირებმა, ივლისის თვეში, მონაწილეობა მიიღეს ჯომარდობაში, რომელიც გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩითახევში. საზღვრისპირა სოფლებიდან მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კასპის ტექნოპარკში გამართულ პროექტ „გააციფრულე საქართველო" პირველ შემაჯამებელ ღონისძიებაში, ასევე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სვანეთში გამართულ კულტურის დღეებში „მესტია- 2021".

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება მოიცავს ხუთ ბიბლიოთეკას, ყველა ბიბლიოთეკაში აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების, წიგნის პრეზენტაციების, საერო მნიშვნელობის დღესასწაულების აღნიშვნა. ბიბლიოთეკებში აღინიშნა დედამისწის დღე, დედაენის დღე, ოკუპაციის კვირეული წიგნის საჯარო კითხვის დღე, გარემოს დაცვის მსოფლიო დღე. ბიბლიოთეკებში მიმდინარეობდა ყველა იმ მომსახურეობის გაწევა, რაც ამ ეტაპზე აქვს ჩვენს ბიბლიოთეკებს. ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე გაიმართა ონლაინ ღონისძიებები. სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით.

საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით,მოხდა ონლაინ ჩართვა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორ ლევან თაქთაქიშვილთან, სტანდარტების განყოფილების უფროს რომან აფაქიძესთან და საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტ რუსუდან ასათიანთან. საუბრები შეეხებოდა ბიბლიოთეკების ისტორიას და დღევანდელობას.

საბიბლიოთეკო გაერთიანების ფეისბუქ გვერდზე ქვეყნდება სხვადასხვა საინტერესო სტატიები.

სოფელ ჩორჩანაში გაიხსნა სამკითხველო ოთახი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ უმასპინძლა საქართველოში ამერიკის ელჩს.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება".

სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში 2020-2021 სასწავლო წელს ირიცხება 465 მოსწავლე ,აქედან ხაშურის სამუსიკო სკოლაში -311 მოსწავლე, სურამის სამუსიკო სკოლაში-71 მოსწავლე, ქვიშხეთის სამუსიკო სკოლაში-83 მოსწავლე.

სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან სახელოვნებო სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ყოველწლიურად აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო კონკურს–ფესტივალებში და სხვადასხვა ადგილობრივ ღონისძიებებში. გაერთიანების სამუსიკო სკოლებში სასწავლო პროცესი განახლდა 15 მარტს და მიუხედავად პანდემიისა, სკოლის მოსწავლეები და მათი პედაგოგები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა კონკურს–ფესტივალებში. 2021 წლის 6 თვეში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

აპრილში, ქალაქ გორში, გაიმართა კონკურს–ფესტივალის„მომავლის ვარსკვლავები" I ტური, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხაშურის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და სიმებიან საკრავთა განყოფილების (ვიოლინო) მოსწავლეებმა: მაისში ქ. თბილისში, მუშტაიდის ბაღში, გაიმართა ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავები"გალა–კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები. სამუსიკო სკოლის ერთმა მოსწავლემ გაიმარჯვა ნომინაციაში „ჯაზური კომპოზიციის საუკეთესო ინტერპრეტაცია", დაჯილდოვდა მედლით და დიპლომით. მეორე მოსწავლეს კი მიენიჭა ლაურეატის წოდება.

ივნისში, ხაშურის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტი.

სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით, საანგარიშო კონცერტები ჩატარდა აგრეთვე სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებში.

22 ივნისს ბორჯომის სამუსიკო სკოლაში, გაიმართა კონცერტი, სადაც მიწვეულნი იყვნენ ხაშურის სამუსიკო სკოლის სიმებიან საკრავთა განყოფილების (ვიოლინო) მოსწავლეები. პედაგოგი ფატი სადაღაშვილი,კ/მ თამაზ აბრამიძე.

21 ივნისს, ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებელის ხალხური სიმღერის პედაგოგ გიორგი შუბითიძის გუნდმა მონაწილეობა მიიღო საირმეში გამართულ ფესტივალზე „კავკასიის სახლი",სადაც დაიმსახურა გრანპრი და ყველა მონაწილე მოსწავლეს ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისათვის გადაეცა სიგელი და მედალი. 27 ივნისს, ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებელის ხალხური სიმღერის პედაგოგ გიორგი შუბითიძის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ტაშისკარში ჩატარებულ ტრადიციულ დღესასწაულზე „ტაშისკარ–სააკაძეობა."

ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრების გაერთიანება

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება,რომელიც მოიცავს: თოჯინების თეატრს, საქალაქო კულტურის ცენტრს, სურამის და ქვიშხეთის კულტურის ცენტრებს და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრს.

ხაშურის თოჯინების თეატრი მონაწილეობდა საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალში "ფერადი ზამთარი" სადაც დაიმსახურეს -ფესტივალის უმაღლესი ჯილდო გრან-პრი. მაისში გაიმართა თოჯინების თეატრის სპექტაკლის "ყველა თაგუნას უყვარს ყველი" სამი ჩვენება; ივნისში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ღონისძიება "ერთად გავაფერადოთ ჩვენი სამყარო". 20 ივნისს, უფლისციხეში, შიდა ქართლის ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, მოეწყო ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა.

25 ივნისს - თოჯინების თეატრის წინამდებარე სკვერში,ჩატარდა ასფალტზე ხატვის ფესტივალი, სადაც მუნიციპალიტეტის ბავშვებთან ერთად, მონაწილეობდნენ "მომავლის სახლის" ბავშვები; 27 ივნისს ტაშისკრის ბრძოლის 412 წლისთავთან დაკავშირებით, მოეწყო სახალხო ზეიმი სოფელ ტაშისკარში. თოჯინების თეატრი მონაწილეობდა ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე "ნარინჯისფერი ქობულეთი".

ა(ა)იპ გაზეთ "ხაშურის მოამბე".

გაზეთი „ხაშურის მოამბე" - წლის განმავლობაში განსაზღვრულია 50 ნომრის გამოცემა, ასევე 12 ნომერი გამოიცემა „ლიტერატურული ხაშური"- ს ჩანართით. ტირაჟის რაოდენობა შედგენს 700 ცალს, აქედან, 500 ეგზემპლარი ვრცელდება ხელმომწერებზე, ხოლო დანარჩენი რაოდენობა უსასყიდლოდ გადაეცემათ იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ ჩასახლებებს და სოფლის რწმუნებულებს, მათ ტერიტორიაზე გასავრცელებლად.

დღეის მდგომარეობით დაბეჭდილია და გამოცემულია გაზეთ „ხაშურის მოამბის" 24 ნომერი და „ლიტერატურული ხაშური" - ს 5 ნომერი.

კონსტანტინე ფრუიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

მოწმეების ჩვენებები ადასტურებენ, რომ ჯერ კიდევ 17 დეკემბერს ვიღაც ახალგაზრდა ყმაწვილი შავ ტანისამოსში, შავქუდიანი ეკითხებოდა მემანქანეს დეპოში მუშაობის შესახებ; იგივე ახალგაზრდა 18-ს დილით მოვიდა უფროს ვაგონების მეთვალყურესთან მენზურთან, რომელიც ბაქანზე იდგა და პირდაპირ ჰკითხა მას, რატომ მუშაობთ და რატომ მხარს არ უჭერთ ტფილისის მთავარ სახელოსნოს მუშებსო. მაგრამ როდესაც მიიღო მკვახე პასუხი, მიიმალა და ამის შემდეგ ეს ყმაწვილი გაჩნდა სახელოსნოებში, დაუწყო ბაასი ხან ერთს, ხან მეორეს და ბოლოს მუშების ჯგუფებს, რის შედეგი იყო ცოტა ხნის შემდეგ მუშაობის შეწყვეტა.

ბ. ჩობაროვსკის ჩვენებით და მუშებს შორის ხმებით მტკიცდება, რომ ეს ახალგაზრდა იყო ტფილისის მთავარ სახელოსნოს მჭედელი კოკაშვილი, რომელსაც სახით იცნობს ბ. ჩობაროვსკი. როდის ჩამოვიდა მიხაილოვოში და როდის წავიდა, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

გარდა ამისა, მუშებთან სახელოსნოში იყო კიდევ მაღალი ტანის, რუხი პალტოთი და ქერა წვერიანი კაცი, რომელიც ტფილისიდან უნდა ყოფილიყო ჩამოსული; საერთოდ, მუშები გაურბიან ვინმეს დასახელებას.

მიღებულია ზომები კოკაშვილის პიროვნების გამოსარკვევათ და აგრეთვე სხვა წამქეზებელთა აღმოსაჩენათ.''

მეორე დოკუმენტი თითქმის იდენტურია პირველისა, მაგრამ არის ზოგიერთი მომენტი, რაც ზემოთ მოტანილ დოკუმენტში არ გვხვდება და ზოგიერთ შემთხვევაში ავსებს მას.

„... ტფილისის სახელოსნოებში მომხდარი გაფიცვის შესახებ მიხაილოვოს დეპოს მუშებმა იცოდნენ 15 დეკემბერს, მაგრამ ამ გარემოებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია, მიხაილოვოში გაფიცვაზე არავინ არ ფიქრობდა.

მაგრამ წარსული 18 დეკემბერს სად. მიხაილოვოს ბაქანზე დილით ადრე გაჩნდა ახალგაზრდა კაცი, მაღალი ტანის, შავგვრემანი, პატარა წვერით, შავ ტანსაცმელში და შავი ქუდით. ეს ყმაწვილი მივიდა ვაგონების მეთვალყურე მენზურთან და ჰკითხა, რატომ მუშაობენ და მხარს არ უჭერენ ტფილისის მუშებს, აქედან ის წავიდა დეპოში, სადაც მემანქანე ქიტიაშვილს შეეკითხა: რამდენ საათს მუშაობენ მუშები და საერთოდ, მუშაობის როგორი პირობებიაო. ქიტიაშვილმა უპასუხა, რომ მუშაობენ 9 საათს.

გარდა ამისა, ის ესაუბრებოდა სხვა მუშებსაც, სანამ ზეინკალმა ცველერმა არ მისცა მას წინადადება დაეტოვებინა დეპო. იმავე დღეს გამოირკვა, რომ უცნობი ახალგაზრდა ჩამოსულია ტფილისიდან, სადაც ის სახელოსნოებში ზეინკლად მუშაობს, გვარად კოკაშვილია და მას იცნობს ბ. ჩობაროვსკი, რადგან ზეინკალი კოკაშვილი წინეთ მიხაილოვოში მუშაობდა; აგრეთვე ზეინკალ ცქვიროორიას გაუგონია მუშებისაგან, რომ დეპოში მოსული ყმაწვილი იყო კოკაშვილი.

საუზმის შემდეგ, დაახლოებით 10 საათზე, მუშა-ხელოსნებმა შესწყვიტეს მუშაობა და თავი მოიყარეს დეპოსთან. ხელსაწყოების გამგე კოსტავა მივიდა დეპოს უფროსთან და აცნობა მას მუშაობის შეწყვეტა. ბ. ჩობაროვსკიმ, გაიგო მან ეს ამბავი თუ არა, გამოვიდა მუშებთან და დაუწყო მათ რჩევა, რომ განეგრძოთ მუშაობა და არ შეერცხვინათ დეპო.

მუშებმა, თავის მხრით, სთხოვეს მას, რომ განემარტა მათთვის დახმარების ახალი წესები, აგრეთვე უფასო ბილეთების და საექიმო დახმარების მოსპობის შესახებ ხმების სისწორე.

ბ. ჩობაროვსკიმ განუცხადა მათ, რომ ჯერ ახალი წესების მან არაფერი იცის და თუ რამე ასეთს მიიღებს ის, აცნობებს მათ, ეხლა კი შეეკითხება რკინის გზის სამმართველოს.

ამ დროს, ზეინკალმა ცინცაბაძემ გადასცა ბ. ჩობაროვსკის ბიულეტენი და განუცხადა მას, რომ ფერშალმა გრინბაუმმა არ მისცა წამალი აბუაშვილს. ჩობაროვსკიმ აღუთქვა მას გამოერკვია, თუ რატომ არ მისცეს აბუაშვილს წამალი, და განაცხადა, რომ ყოველ შემთხვევაში არავითარი განკარგულება წამლების გაცემის აკრძალვის სესახებ არ ყოფილა.

დაახლოვებით 15-20 წუთის შემდეგ მუშებმა დაიწყეს მუშაობა, მაგრამ 10 წუთის შემდეგ კვლავ შესწყვიტეს მუშაობა, მივიდნენ დეპოს უფროსის თანაშემწესთან და როდესაც მიიღეს კატეგორიული პასუხი, რომ დეპოს უფროსს არ მიუღია არავითარი განკარგულება ახალი წესების შემოღების შესახებ, დაწყნარდნენ, და ამის შემდეგ წესიერება არ დარღვეულა...''

მიხაილოველი რკინიგზელების გაფიცვას რსდმპ თბილისის კომიტეტის დავალებით ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშა სტეფანე გარიშვილი. სწორედ სტეფანე გარიშვილი იყო ის ახალგაზრდა კაცი წაბლისფერი თმითა და პატარა წვერით, შავ კოსტუმში, რომელზეც ზემოთ მოტანილ დოკუმენტშია საუბარი. გაფიცვის შემდეგ, სტ. გარიშვილი დააპატიმრეს და 10 თვით მეტეხის ციხეში მოათავსეს. განთავისუფლების შემდეგ, იგი ადმინისტრაციული წესით ბაქოში გაასახლეს, სადაც კვლავ აქტიურად ჩაება მუშათა მოძრაობაში.

მიხაილოველ რკინიგზელთა 1898 წლის 18 დეკემბრის გაფიცვა არაორგანიზებული იყო. იგი ერთი დღე გრძელდებოდა და თბილისის რკინიგზელთა გაფიცვის შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ. ამიტომ შედეგიც საერთო იყო – საქართველოს მთელ რკინიგზაზე შეაჩერეს ახალი წესების შემოღება და ძალაში დატოვეს ძველი. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მიხაილოველმა მუშებმა 18 დეკემბრის გაფიცვით გამოხატეს თავიანთი სოლიდარობა თბილისელი რკინიგზელები მიმართ, რაც საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მათში პოლიტიკური შეგნების დონეზე. ამ გაფიცვით მიხაილოველმა მუშებმა ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს ხაშურის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში.

900-იანი წლების დასაწყისში, ხაშურსა და მისი რეგიონის მოსახლეობაში ფართო პროპაგანდისტული მუშაობას ეწეოდნენ გ. ელისაშვილი, დ. სულიაშვილი, სტ. ნოზაძე, მ. დავითაშვილი, ს. ალიმბარაშვილი, გ. პარკაძე და სხვები. ცნობილი სოციალ-დემოკრატი ისიდორე რამიშვილი იგონებს:

„იმ ზაფხულს მსგავსად წინა წლისა, სურამს წავიყვანე ბავშვები, სადაც მეგულებოდა გათხოვილი ძმისწული, რომელსაც ჩავაბარე ბავშვები და მე გავედი სამუშაოდ ხაშურში და მის ირგვლივ სოფლებში. ბათუმთან შედარებით აქ მუშაობა გაცილებით სუსტად მიდიოდა, განსაკუთრებით, სოფლებში, სადაც არ იყო ის შეგნება და რევოლუციური აღტყინება, რაც გვენახა გურიაში და საზოგადოდ, დასავლეთ საქართველოში. თვით ხაშურშიც კი საქმე ზანტად მიდიოდა. სადგურის ზემოთ, ტყიან გორაკზე, ვიკრიბებოდით ღამის სიბნელეში თითოოროლად. პაროლად ორჯერ სტვენა გვქონდა, ორჯერ გაგრძელებული სტვენა ჩვენი კაცისა იქნებოდა და ჩვენც იმგვარადვე სტვენით ვამცნობდით, სადაც უნდა მოსულიყო. შეიყრებოდა 13-15 დეპოს მუშა და კონდუქტორები და შევუდგებოდით ახსნა-განმარტებას, პროპაგანდას. დიდ აქტივობას იჩენდა სიმონ ბაბლიძე, რომელსაც მოყავდა ფარულ წრეში ახალ-ახალი მსმენელნი დეპოდან და თვითონაც კარგ პროპაგანდას ეწეოდა, ლაპარაკი შეეძლო. იყვნენ კონდუქტორებიც ხეირიანები, მაგ ნოზაძე, იჰ. კეშელვა და სხვა – ბევრის გვარი ახლა აღარ მახსოვს.

შიგ დაბაში ვერაფრის მოწყობას ვახერხებდი, რადგან პოლიცია უკვე გამოღვიძებული იყო მოძრაობის სიოს აქ შემოტანით და ფხიზლობდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქამდე რკინიგზის გაფიცვის დროს მუშების სისხლი დაიღვარა. უფრო ძნელი ხდებოდა სოფლებში მუშაობა, ზემო ქართლის გლეხები მაშინ კიდევ არ იყვნენ გამოღვიძებული რევოლუციონური მოქმედებისთვის, კიდევ ღვთისა და ხელმწიფის ყურმოჭრილი ყმები იყვნენ, ისმენდნენ ჩემს ქადაგებას უგულოდ და ურწმუნოდ, „პრისტავის“ ძლიერ ეშინოდათ და „ეშმაკს„ გაურბოდნენ. თითო-ოროლა კაცი უნდა გეძებნა, ბევრი ბრმა სიტყვა უნდა მათზე დაგვეხარჯა, გამოგეღვიძებინა საღათას ძილისგან, რომ მერე მათი საშუალებით მათ მეზობლებზე გადავსულიყავით. გლეხებთან შუაკაცებად ისევ ხაშურის მუშები ან სურამელი ნოქრები თუ გამოგადგებოდნენ, სამაგიეროდ, კარგად წავიდა საქმე საზაფხულო ბანაკში მდგომ იუნკერებს შორის, მათი კრება მრავალრიცხოვანიც იყო და ხალისიანიც.

ერთ კვირა დღეს განვიზრახეთ სურამში მოგვეხდინა საჯარო დემონსტრაცია და ხალხის ყურადღება მიგვექცია ახალი მოძრაობისაკენ, შეგვენძრია მისი გულგრილობა ამ მოძრაობისადმი, სურამში სააგარაკოდ დიდძალი ხალხი იყრიდა თავს, რომლის გასართობ და საყვარელ ადგილს წარმოადგენდა სადგურის წინ ამართული გორაკი. ეს გორაკი ყოველ საღამოობით შეიხუნძლებოდა აჭრელებული ტანსაცმლიანი ხალხით, მსგავსად გაზაფხულზე ახლად გამოფეთქილ ყვავილებისა და იყო განცხრომა და მხიარულება. აი, აქ უნდა აგვეფრიალებინა დროშა და წარმოგვეთქვა, შეძლებისდაგვარად, რამდენიმე რევოლუციონერული სიტყვა და მალე დავფანტულიყავით, რომ ბოქაულებს და ჩაფრებს ჩვენთვის არ მოესწრო. განზრახული იყო ასე: ვიქნებოდით თვით მოსეირნე ხალხში, სხვადასხვა მხრიდან ცალ-ცალკე მომიახლოვდებოდნენ თანამოაზრენი და მონაწილენი გამოსვლისა. მე სიტყვას ვიტყოდი, რომლის დროსაც დროშა აიშვებოდა და რევოლუციონური სიმღერა ითქმებოდა.

ასეც მოხდა, მხოლოდ თან ერთი კურიოზი დაერთო: როდესაც მე ამხანაგების მოლოდინში ვიჯექი გორაკის თითქმის მწვერვალზე და ძირს დავყურებდი მოფუსფუსე ხალხს, გვერდით მომიჯდა ჩემი კარგი ნაცნობი ბლაღოჩინ-დეკანოზი არსენ თოხაძე, რომელმაც გამიბა სხვადასხვა ჭრელი ამბები უფრო მათი, სასულიერო წოდების, ცხოვრებიდან. მე გაფანტულად ვიგდებდი ყურს, სულ სხვა მხრისაკენ იყო მიქცეული ჩემი ყურადღება. როცა დადგა ჩვენი გამოსვლის დრო, ხაშურიდან და თვით სურამიდან მოსული ამხანაგების რიცხვი საგრძნობი შეიქმნა, მე წამოვდექი და მჭეხარე ხმით დავიძახე: „ამხანაგებო და მოქალაქენო!“ და თან დროშაც აფრიალდა. მეხდაცემული ბლაღოჩინი, ეს რა ჭირში ჩავვარდიო, ქუდმოგლეჯილი გარბოდა ძირს დაფეთებული, მისი გრძელი ყავარჯენი და ანაფორის კალთები ფეხებში ეხლართებოდა და ბარბაცით მილასლასებდა. თუმცა ამის დრო არ იყო, მაგრამ უნებურად თვალი მოვკარი ამ სურათს და გამეცინა.

მე კაი ხანი ვილაპარაკე თანამედროვე უსამართლობაზე და მისი მოსპობის საშუალებებზე, ხალხი შეინძრა. უმრავლესობა დაფრთხა, გაიფანტა, რამდენიმე ცნობისმოყვარე თუ უფრო შეგნებული და თანამგრძნობი მოგვიახლოვდა და ჩემით დაინტერესდა. როცა სიტყვა გავათავე ძირს მწყობრად დავეშვით რევოლუციონეული სიმღერით გაშლილ დროშის ქვეშ, გავიფანტეთ და დროშა ჩამოვხსენით ჯოხიდან. რკინიგზის ლიანდაგთან მივაღწიეთ, რადგან მოგვესმა შეშფოთებული სტვენა გოროდოვოებისა და დარაჯებისა. სხვადასხვა გზით ხალხში და დაბებში მივიმალეთ. მეტი ნაწილი ხაშურის გზას დაადგა, რადგან ღამით ხაშურის გორაკზე, ტყეში კრება იყო დანიშნული. ჩვენ მიზანს მივაღწიეთ – მოაგარაკე დადაბის მცხოვრებთ შორის და გამოსვლის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი – ზოგი უარყოფით და ბუზღუნით, ზოგი თანაგრძნობით და თანხმობით. პოლიციას ჯერ კიდევ ვყავდით თვალში აყვანილი არ გვიცნობდა პირადად.

1901 წელს მოეწყო სადგურ მიხაილოვოს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა გამოსვლა, მოხდა გაფიცულებსა და პოლიციელებს შორის შეტაკებც, მაგრამ ამ გამოსვლას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

ხაშურში 900-იანი წლების დასაწყისში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი 1903 წელს აქ რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციის შექმნამ. 1928 წელს გაზეთ „კომუნისტში'' საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში ნათქვამია: „1903 წელს, იანვარშ, ი თბილისიდან ჩამოვიდენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დასაარსებლათ: კირილე ნინიძე და პორფილე ეფრემიძე. მათ აქ ინახულეს ხაშურის მოწინავე მუშები: სვიმონ ბაბლიძე, სტეფანე ნოზაძე და ისიდორე მეფარიშვილი, ჩამოსულებმა აუწყეს მათ ჩამოსვლის მიზანი და უთხრეს, რომ საჭიროა კრების მოწვევაო.

ზემოთ ხსენებულმა ხაშურელმა ამხანაგებმა შეკრიბეს, რიცხვით 50 კაცამდე, დეპოელებისა და მემუხრუჭეებისაგან შემდგარი კრება რკ გზის აბანოში. ეს იყო 13-17 იანვარს. აქ, დაარსდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის'' ხაშურის ორგანიზაცია, პრეზიდიუმში შედიოდა 5 ამხანაგი: 1. სვიმონ ბაბლიძე, 2. სანდრო ნოზაძე, 3. ისიდორე მეფარიშვილი, 4. ეგნატე ჯიბლაძე, 5. მიტროფანე ჯანელიძე.''

უკვე, როცა 1903 წლის მარტში თბილისში რსდმპ ამიერკავკასიის ორგანიზაციების პირველი ყრილობა გაიმართა, თბილისის, ბაქოს, ბათუმის კომიტეტებიდან და ქუთაისის, ჭიათურის, ოზურგეთისა და გორის ჯგუფებიდან წარგზავნილ 15 დელეგატს შორის არის ხაშურის წარმომადგენელიც. ეს ფაქტი კარგად მეტყველებს ხაშურელ მუშათა როლს ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. ამ დროს, როგორც ჩანს, სდმპ ხაშურის ჯგუფი სათანადო პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ადგილზე, რაც მას გამოარჩევდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს შორის.

1903 წლის დასაწყისში ხაშურში მუშაობდა ისიდორე რამიშვილი, რომელიც გვიან იგონებდა:

„მეტ ნაწილად რკინიგზის სადგურებში ვათევდი ღამეებს, როდესაც ქარელში ან ხაშურში მოვხვდებოდი. სურამისა და ხაშურის რაიონში 1903 წლის გაზაფხულშიაც ვმუშაობდი. სურამში საზაფხულოდ იუნკერები იყვნენ დაბანაკებული. მათ დავუახლოვდი და მოზრდილი წრე შევადგინეთ. ისინი ახალ მოძღვრებას სწრაფად და კარგად ითვისებდნენ, იძლეოდნენ კითხვებს და მართავდნენ კამათს ერთმანეთს შორის ყოველთვის, როცა ჩემი ლაპარაკი დასრულდებოდა. ეტანებოდნენ ლიტერატურასაც და იცოდნენ, რა ხდებოდა რუსეთში. მათთან მეცადინეობა უფრო ადვილი იყო, ვიდრე სოფლებში გლეხებთან.

ხაშურში კონდუქტორების წრე იმართებოდა ხან ისიდორე მეფარიშვილის, ხან უფროს კონდუქტორის ცინცაძის და ხან კონდუქტორ ნოზაძის ბინაზე. მათ შორის მუშაობა გაცილებით ადვილი იყო, რასაკვირველია, ვიდრე სოფლელებს შორის. ჯერ რომ ყველამ კითხვა იცოდა და შეეძლოთ ბეჭდვითი სიტყვით სარგებლობა, მერე რკინის გზის დეპოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, სადაც მეტი შეგნება და მოძრაობა იყო. დეპოს მუშებთან ხაშურში დაკავშირება არ გაგვიჭირვებია. ამ შემთხვევაში დიდად ხელს გვიწყობდა დეპოს მუშა სიმონ ბაბლიძე, რომელიც მაკავშირებდა საუკეთესო მუშებთან, კრებები ამ მუშებისა ხდებოდა ხაშურის თავზე ამართულ გორაკზე. ეს გორაკი მაშინ მოზრდილი ტყით იყო დაფარული. შიგ დამალვა ადვილი საქმე იყო. ღამით ერთმანეთს სტვენით ვპოულობდით. სიმონ ბაბლიძე გარდა იმისა, რომ კარგი ორგანიზატორი იყო გვარიანი მჭერმეტყველი ლაპარაკიც შეეძლო, როგორც შემდეგში, უფრო თავისუფალ დროს, 1905 წელში, დაამტკიცა ქართლში გამართულ დიდ მიტინგზე, სადაც გამოვიდა მშვენიერი სიტყვით“

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,25)

1818 წლის ყამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

თავად როსტომ ბეგთაბეგოვის გლეხი

6. არუთინ ხუბერაშვილი, მას ჰყავს ცოლი, ვაჟი ფარსადანი, 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გაბრიელი, ბიძაშვილები: მიხეილი, სიმონი და სტეფანე.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური ნასყიდი მიწა, აქედან იღებს ღალას, რქოსანი პირუტყვი 5 სული, აღებმიცემობით იღებს შემოსავალს.

თავად გიორგი აბაშიძის ყოფილი ყმები, რომლებიც ახლა ეკუთვნიან მის ვაჟს, ევსტათს

7. დათიკა ლაცაბიძე, მას ჰყავს ცოლი, ქალიშვილი,.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 45 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვით იღებს სარჩოს.

8.ნონია გო(გ)იაშვილი, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა დავითი, მათ ჰყავთ ორი და, დედა.

ეს ექვსსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 5 სული, წვრილმანებით ვაჭრობით იღებს საკმარის წლიურ შემოსავალს.

თავად ევგენი აბაშიძის ყოფილი გლეხი, რომელიც ახლა ეკუთვნის მის ცოლს, სალომეს.

9. ბერი სამხარაძე, მისი ცოლი, ვაჟი პეტრე, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გაბრიელი, მისი ცოლი, ქალიშვილი, ვაჟი - ნინია.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 5დღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 4 სული, 2 სკა ფუტკარი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებიდან იღებს სარჩოს.

თავად ევგენი აბაშიძის ყოფილი გლეხები, რომლებიც ახლა ეკუთვნიან ქვემოთაღწერილ აბაშიძეებს

თავად ივანე აბაშიძის გლეხი

10. გლახა ღონღაძე, მისი ცოლი, დედა.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური ქაღალდით მიცემული საბატონო მიწა, იღებს 40 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 4 სული. ხვნა - თესვით იღებს სარჩოს.

თავად ლევან აბაშიძის გლეხი

1. სიმონ ტაგანაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი სოსია, მასთან ერთ ოჯახში მისი ვაჟი გიორგი, მას ჰყავს ცოლი, ბიძაშვილი დავითი, მისი ცოლი, ვაჟი გრიგოლი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური საბატონო მიწა, იღებს 40კოდ პურს, ვენახი ნახევარდღიური სახნავი, საიდანაც იღებს 6 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

ქვემოთ ჩამოთვლილი გლეხები წინა აღწერით ეკუთვნოდნენ თავად ევგენი აბაშიძეს, ახლა აცხადებენ, რომ არიან არაგვის საერისთაოს, ანანურის ღვთისმშობლის ეკლესიის გლეხები.

1. მანველა ბაღდინაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ნინია, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა , გრიგოლი. ამ ოთხსულიანი ოჯახის ყველა წევრი სომეხი ეროვნებისაა. აქვს სახლი, ნახევარდღიური სახნავი ნასყიდი საბაღე ადგილი, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ფლობს ფეიქრის ხელობას, რომლისგანაც და ხვნათესვით იღებს სარჩოს.

2.. პეტრე ბაღდინაშვილი, მისი ცოლი და ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ფარსადანი, მათი დედა. ამ ხუთსულიანი ოჯახის ყველა წევრი სომხური ეროვნებისაა,

აქვთ სახლი, ჰყავთ ერთი ცხენი, სახვადასხვა ხელობით ირჩენენ თავს.

ივანე დავითის ძე აბაშიძის გლეხი

1. აზნაური გაბრიელ სავანელოვი, მისი ბიძაშვილი პაატა, მისი დედა. სავანელოვის შესახებ მითითებულია, რომ ძირითადად არის ბატონთან და რომ ბატონისაგან აქვს სარჩო.

სავანელის გლეხი

2. გოგია მარგველაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გაბრიელი. ამ ორსულიან ოჯახს აქვს სახლი, ჰყავს რქოსანი პირუტყვი სამი სული, ხნავს სხვის სამდღიურ მიწას, იღებს 25 კოდ პურს, ხვნა-თესვით იღებს სარჩოს.

ამ ორი ოჯახის გასწვრივ დედანში ფანქრით გაკეთებულია მინაწერი - ტეზერი.

თავად ტარიელ ჩხეიძის გლეხები, რომლებიც ახლა ეკუთვნიან მის ცოლს ქ-ნ ელენე ჩხეიძეს.

1. გოგია წვერიანაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები : სოსია და მათე, ძმისშვილები: სიმონი, გაბრიელი, პეტრე და შიო, მათ ჰყავთ დედა და და, სიმონს ჰყავს ცოლი, ვაჟი ტეტია, 2 ქალიშვილი, გაბრიელს ჰყავს ცოლი, ვაჟი შიო. ამ 15სულიან ოჯახს აქვს სახლი, ნასყიდი ხუთდღიური მიწა, ამას ზევით ხნავს სხვის ხუთდღიურს, იღებს 60 კოდ პურს, ნახევარდღიური სახნავი ვენახი, იღებენ 5კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 12 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვით აქვთ კარგი წლიური შემოსავალი.

2.გოგია დალაქიშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: თვდორე, გაბრიელი და თევდორე(ასეა დედანში-დ.ხ.)

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოჯახის უფროსი დალაქია, ამ ხელობიდან აქვს წლიური სარჩო.

თავად ქაიხოსრო ხიდირბეგოვის გლეხები, რომლებიც ახლა ეკუთვნიან მის ვაჟს, გიორგი ხიდირბეგოვს.

1. ნინია თოფჩიაშვილი, მისი ცოლი, ძმისშვილები: შალვა და გიორგი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოთხდღიური საბატონო მიწა, იღებს 20 კიდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვით იღებს სარჩოს.

2. გიორგი და შალვა მაცხონაშვილები. გიორგი ბატონის მოჯამაგირეა.

3. მამუკა ბასტიაშვილი მოჯამაგირეა.

თავად ივანე ხიდირბეგოვის გლეხი

4. დანიელ მანაშერაშვილი. აქვს სახლი, ნახევარი დღის სახნავი ვენახი, რომელიც მოსავალს არ იძლევა, 1 ფარდული, მუშაობს დღიურად.

დანიელ მანაშერაშვილი გასამართლებულია გორის სამაზრო სასამართლოს მიერ. საქმე აღებულია აპელაციაზე.(შენიშვნის სახით)

თავად დავით ხიდირბეგოვის გლეხები-

1.მანაშერ მანაშერაშვილი, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა სამუელი, ძმისშვილები-3 ქალიშვილი, მათი დედა.

შენიშვნა- მანაშერი გასამართლებულია გორის სამაზრო სასამართლოს მიერ. საქმე მიღებულია სააპელაციოდ.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ნახევარდღიური სახნავი ვენახი, რომელიც შემოსავალს არ იძლევა, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ერთი ფარდული, ტილოს, ქაღალდის, სურსათის გაყიდვით იღებს წლიურ საზრდოს.

5. ბინია მანაშერაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა მანუახი.(აქაც მინაწერია, რომ გასამართლებულია გორის სამაზრო სასამართლოს მიერ. ეტყობა ერთ საქმეზე,).

ცხოვრობს სხვის სახლში, დღიური სამუშაოების ქირით აქვს სარჩო.

განაცხადა რომ არის თავად ბააკა მურვანოვის გლეხი.

1.გიორგი ბარბაქაძე- ეს ერთსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში. აქვს 13დღიური საბატონო მიწა, ხნავს ოთხდღიურს, იღებს 40 კოდ პურს, სავენახე ადგილიდან შემოსავალს ვერ ღებულობს,. ჰყავს რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვისა და სხვა სამუშაოებისაგან იღებს სარჩოს.

ამას მოსდევს მინაწერი აღწერის კომისიის ერთი წევრის ხელით:

თავად ევგენი ხიდირბეგოვის 1.მამუკა ბასილაშვილი, მოჯამაგირეობს ბატონთან, 1 სული, გარდაიცვალა.(დ.ხ.)

1. ამ სოფელში მიწები საერთოდ ნაჩვენებია სახაზინო გლეხებზე, არის 4 ვენახი.

2. წინა აღწერით, ამ სოფელში და გვერდისუბანში, აღნიშნული იყო საბატონე გლეხები 63 კომლი. ზოგიერთი მათგანი გამოსაღებს იხდიდა თავისი ბატონის გლეხებს შორის, ზოგიერთი კი საერთოდ დაბეგრილი არ იყო. ახლა კი გარდა ჭირისაგან გარდაცვლილების და სხვაგან გადასახლებულებისა, აზნაურების გარდა არის 24 საბატონე გლეხი, რომელთაგან გადასახადის გადახდა შეუძლით აზნაურ ბააკა მურვანოვის 4 კომლს: 12კოდი ხორბალი, 8 კოდი, ქერი, თავად ზაქარია თარხანოვის 1 კომლს-ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, აზნაურ ბეჟან აბაზაძის 1კომლს ასევე, თავად როსტომ ბეგთაბეგოვის 1 კომლს ამდენივე, თავად ევსტათი აბაშიძის 2 კომლს- 6 კოდი ხორბალი, 4 კოდი ქერი, ქ-ნ სალომე აბაშიძის 1კომლს 3კოდი ხორბალი,2 კოდი ქერი, თავად ივანე აბაშიძის 1 კომლს ასევე, თავად ევგენი აბაშიძის 2 კომლს 6 კოდი ხორბალი, ქერი 4 კოდი, აზნაურ დავით სავანელოვის 1 კომლს ხორბალი 3 კოდი, ქერი 2კოდი, ქ-ნ ელენე ჩხეიძის 1 უსახსროს გარდა - 1 კომლს ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად გიორგი ხიდირბეგოვის 2 მოჯამაგირედ მყოფების გარდა, 1 კომლს 3 კოდი ხორბალი, 2 კოდი ქერი, ივანე ხიდირბეგოვის 1 კომლს უსახსრობის გამო გამოსაღების გადახდა არ შეუძლია, დავით ხიდირბეგოვის ერთი უსახსროს გარდა, 1 კომლს 3 კოდი ხორბალი, 2 კოდი ქერი, თავად ივანე ციციანოვის 1 კომლს ამდენივე, ივანე აბაშიძის 1 კომლს 3 კოდი ხორბალი, ქერი 2 კოდი. ქალბატონ ელენე ჩხეიძის 1 უსახსრო კომლის გარდა, 1კომლს - ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად გიორგი ხიდირბეგოვის მოჯამაგირედ მყოფი 2 კომლის გარდა, 1 კომლს-ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად ივანე ხიდირბეგოვის 1 კომლს უსახსრობის გამო გამოსაღების გადახდა არ შეუძლია, თავად დავით ხიდირბეგოვის ერთი უსახსრო კომლის გარდა, ერთ კომლს 3 კოდი ხორბალი, 2 კოდი ქერი, თავად ნიკოლოზ ციციანოვის ერთ კომლს ამდენივე, ევსტათი აბაშიძის ერთ კომლს ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი.

სოფელ ზინდისში

აზნაურ ავთანდილ აბაზაძის გლეხები

1. იოსებ კიკნაძე, მისი ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი ადამი, ბიძაშვილი გიორგი, მისი ცოლი და ქალიშვილი, დედა.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

2. თევდორე კიკნაძე, მისი ცოლი და ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა სოსია, მათ ჰყავთ დედა, ბიძაშვილი თევდორე, მისი ცოლი, ძმისშვილები - პეტრე და ქიტესა, მათ ჰყავთ დედა.

ამ ათსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 7 სული, ხვნა_თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. მამუკა ლომიძე, მისი ცოლი, ვაჟი ნინია, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ფარსადანი და სიმონი, მათი ცოლები, ფარსადანის ვაჟები: რევაზი და გაბრიელი, რევაზის ცოლი, სიმონის ვაჟები: რამაზი, პაატა და ბერო. ძმებს ჰყავთ დედა.

ამ 15 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ოთხდღიური ნასყიდი მიწა, ხნავს ცხრადღიურს, იღებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 13 სული, ხვნა-თესვით იღებს სარჩოს.

4. შიო დევაძე-(ეს გლეხი სახაზინო ექსპედიციის განჩინებით მსჯავრდებულია (მინაწერი - დ.ხ.), მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, ქალიშვილი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 4 სული, სხვადასხვა ხელობით აქვს შემოსავალი.

5.გიორგი ცუცქირიძე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა პეტრე, მისი ცოლი, ძმისშვილი ქიტესა.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ნყავს რქოსანი პირუტყვი 3 სული. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებიდან იღებს საზრდოს.

6. გაბრიელ ლომიძე -(ცნობები არ არის).

შენიშვნა1. ეს სოფელი გაშენებულია მდინარე სურამულაზე. ვარგისია 40დღიური მიწა, მწირი 50დღიური, ტყე-40დღიური. ყველა ეს აგარაკი ეკუთვნით აზნაურ აბაზაძეებს, გარდა ამისა სარგებლობენ მეზობელი აგარაკებიდან ყველანაირი სარგებლით, არის ერთი წისქვილი, მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა ხვნა-თესვა და სხვა სამუშაოები.

2. წინა აღწერით ამ სოფელში ნაჩვენები იყო 12 კომლი საბატონო გლეხი.

ზოგიერთი მათგანი იხდიდა სურსათს აზნაურ აბაზაძეების გლეხების რიცხვში, ზოგიერთები დაბეგრილები საერთოდ არ ყოფილან, ახლა კი, ჭირისაგან გარდაცვლილების გარდა, ნაჩვენებია აზნაურ ავთანდილ აბაზაძის 6 კომლი, რომელთაგან, გარდა ერთი მოჯამაგირედ მყოფისა, გამოსაღების გადახდა შეუძლია- 5კომლს-ხორბალი 15 კოდი, ქერი 10 კოდი.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

ჭერათხეულას ულამაზესი ხეობა წლის ნებისმიერ დროს მშვენიერია.
ბ. წიქრიძის ფოტო.

ქვიშხეთში, მჭედლიშვილების უბანში, გზის დამცავი ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის და მისასვლელი გზის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

სამუშაოების მიმდინარეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ დაათვალიერა.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 148445 ლარია, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია "გამა+"ასრულებს.

მდინარე სურამულას მონაკვეთზე ნაპირსამაგრი სამუშაოები დაიწყო

დაბა სურამში, მდინარე სურამულაზე, აღმაშენებლის ქუჩის 8 და წმინდა მარიამის ქუჩის 13-ის მიმდებარედ, ნაპირსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს კედლის ფუნდამენტის მოწყობა. პროექტი, რომელიც მონოლითური რკინა-ბეტონის კედლის მოწყობას ითვალისწინებს, მნიშვნელოვანია შესაძლო სტიქიის პრევენციისთვის.

ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 209 996 ლარია გამოყოფილი.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „პირამიდა - ფ.რ.-ს ფილიალი ასრულებს.



ამირან ბარბაქაძის გახსენება

ჩემო ძვირფასო, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს შენ ჩემთვის უკვდავი ხარ. თურმე რა ძნელი ყოფილა დედმამისშვილების გარეშე ცხოვრება. სანამ მე დავდივარ ამ ქვეყანაზე, დაუვიწყარი იქნები, ერთად ხართ დედა და ჩვენი დაჩაგრული და. მაკლია თქვენი იმედი და გვერდში დგომა, თქვენს სურათებს ვკოცნი და ვეფერები, დაუვიწყარი ხარ სუფრაზე და ჩვენს საახლობლოში, შენს დანატოვარს სათუთად ვინახავ, ჩემო აღმზრდელო და დამრიგებელო.

ვლოცულობ თქვენთვის და მეოხად ვუდგები უფალს, რომ თქვენ ულამაზეს სულებს სანთელ-ნათელი არ მოაკლდეს.

ომარი, შენი საყვარელი ძმა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.